

თეონა ცუცხვაშვილი

**FH JOANNEUM University of Applied Sciences, Graz, Austria**

**ERNST MACH grant holder - ავსტრიის მთავრობის გრანტი**

ავსტრიაში სასწავლებლად გამგზავრება ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. აპლიკაციის პროცესი მარტივი არ ყოფილა თუმცა, არც ისეთი რთული როგორც წარმომედგინა. მთავარია მოინდომო და ბოლომდე დაიხარჯო როდესაც ამ საქმეს მოკიდებ ხელს. აპლიკაციაში დასმულ შეკითხვებს უნდა უპასუხო მთელი გულით და ამომწურავად. რაც უფრო გულწრფელი ხარ, მით უფრო მაღალია შენი წარმატების შანსი.

აქაური სასწავლო გარემო არის საოცრად ჯანსაღი, კონკურენტული და ამავდროულად მშვიდი. გვყავს უზომოდ კვალიფიციურ ლექტორები და ეს არ არის მხოლოდ სალექციო პროცესი, ეს ნამდვილი მუშაობა და გამოცდილების გაზიარებაა. და ბოლოს მინდა ავღნიშნო, რომ ავსტრია საუკეთესო ადგილია სტუდენტური ცხოვრებისა და მოგზაურობისთვის. ვენიდან მხოლოდ 10 ევროდ შეგიძლია მოხვდე ევროპის ისეთ ქალაქებში როგორიცაა ვენეცია, ფლორენცია, ამსტერამი, პარიზი და მრავალი სხვა.